ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-6 მოწვევის
საკრებულოს წევრის

ლევან არველაძის

2018 - 2019 წლებში გაწეული მუშაობის შესახებ
ანგარიში

მოგახსენებთ, რომ ვარ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მე-6 მოწვევის საკრებულოს წევრი პროპორციული სიით, საარჩევნო ბლოკი „ქართული ოცნება“. მე-6 მოწვევის საკრებულოში გახლავართ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ წევრი და კანონის შესაბამისად, ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის და ეკონომიკური განვითრებისა და საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის წევრი, სადაც აქტიურად ვარ ჩართული მათ მუშაობასა და სხვადასხვა აქტივობებში.

- 2019 წლის განმავალობაში (ოქტომბრის თვის ჩათვლით), სულ მოწვეულ იქნა საკრებულოს 18 სხდომა, რომელზეც მიღებულ იქნა 98 დადგენილება და 434 განკარგულება.

- ფრაქცია “ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“, ჩატარებული აქვს 22 სხდომა, სადაც სხვადასხვა სახის რეკომენდაციები შევიმუშავეთ 25 საკითხზე.

ეკონომიკური განვითარების საინვესტიციო პოლიტიკასა და საერთასორისო ურთიერთობების კომისია

კომისიის ფორმატში დავესწარი 13 სხდომას, განვიხილეთ 16 საკითი.

1. 20 ნოემბერი 2018 წელი
   - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

2. 24 დეკემბერი 2018 წელი
   - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ
3. 25 იანვარი 2019 წელი
   - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25

დეკემბრის №34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ. №12-031902271-03

4. 12 თებერვალი 2019 წელი
    - „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მე-3 მასივში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების თაობაზე ინტერესთა გამოხატვის გამოცხადების შესახებ ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების შესახებ“
    - “კომერციულ ბანკში საკრედიტო ხაზის გახსნის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“
5. 12 მარტი 2019 წელი
    - ქ. თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა
6. 05 აპრილი 2019 წელი
    - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ
7. 19 აპრილი 2019 წელი
    - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ
8. 23 მაისი 2019 წელი
    - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოხსენება მიმდინარე და სამომავლო პროექტების შესახებ
9. 25 ივნისი 2019 წელი
    - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასა და შპს „ვარკეთილი დიველოფმენთ“-ს შორის „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მე-3 მასივში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა - ნაგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების პროექტის იმპლემენტაციის შესახებ” ხელშეკრულების დადების თაობაზე“
    - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე გიორგი ებანოიძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ
10. 23 ივლისი 2019 წელი
    - "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“
11. 19 აგვისტო 2019 წელი
    - ინფორმაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების მიმოხილვის შესახებ
12. 10 სექტემბერი 2019 წელი

- ქ.თბილისის ღამის ეკონომიკის ფარგლებში მიმდინარე პროექტების შესახებ
- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის მიმდინარე პროექტების შესახებ

13. 10 ოქტომბერი 2019 წელი
    - ქ.თბილისის მუზეუმების პოტენციალი დედაქალაქის ტურიზმის განვითარებისათვის

ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

2018 წლის ნოემბრიდან დღემდე კომისიის მიერ შესწავლილია სსიპ ქონების მართვის სააგენტოდან შემოსული 187 პროექტი, მათ შორის:

- ✓ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 ივლისის N17-66 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ-პროექტი, ასევე თბილისის მერიასა და სხვადასხვა იურიდიულ პირებს შორის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლებაზე თანხმობის მიცემასთან დაკავშირებით პროექტები; ფიზიკურ პირებზე პირდაპირი განკარგვის წესით მიწის ნაკვეთების იჯარით გადაცემის საკითხები. რაც საჭიროებდა საკრებულოს თანხმობას.
- ✓ ქალაქ თბილისში მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხები:

დაახლოებით 340-მდე ოჯახს, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობდნენ და სარგებლობდნენ უძრავი ქონებით, სიმბოლურ ფასად 1 ლარად გადაეცათ შესაბამისი ქონება(5414,75 კვმ საცხოვრებელი ფართი).

- ✓ „სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის N419 განკარგულებით ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტს ეთხოვა, უზრუნველყოს კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის განსაზღვრული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ.

27962 კვ.მ მიწის ნაკვეთი გადაეცა 113 ოჯახს, გარდა ამისა 61 ოჯახი დაკმაყოფილდა საცხოვრებელი ფართით, მათი მხრიდან სახელმწიფო საშინაო ვალზე უარის თქმის სანაცვლოდ.

- ✓ ვარკეთილის ტერიტორიაზე ავარიულ კორპუსებში მცხოვრები ოჯახებისათვის ავარიული ბინების სანაცვლოდ, ახალი საცხოვრებელი ბინების გადაცემისათვის, ვარკეთილის მე-3 მასივში 30 205 კვმ მიწის ნაკვეთის კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი განკარგვის ფორმით, 1 ლარად პრივატიზებით და პირობადადებულ საკუთრებაში გადაცემა, ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირისათვის.
- ✓ საქართველოს და ევროპის რეკონსტრქუციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის „თბილისის მყარი ნარჩენების პროქტთან დაკავშირებით“ 2018 წლის 27 ნოემბერს ხელი მოეწერა სასესხო შეთანხმებას 15 მლნ ევროზე. პროექტთან დაკავშირებით გაფორმდა საქართველოსა და EBRD-ს შორის პროექტის მხარდაჭერის, ხოლო შპს „თბილსერვის ჯგუფს“ დაEBRD-ს შორის საპროექტო ხელშეკრულებები.აღნიშნულის თანახმად, ფინანსთა სამინისტრო სასესხო შეთანხმების საფუძველზე და სასესხო შეთანხმების პირობების გათვალისწინებით,თბილისის მუნიციპალიტეტს გადასცემს15 მლნ ევროს. პროექტის განხორციელების მხარდაჭერის ღირებულებაა 400,0 ათასი ევრო, ადმინისტრირების გადასახადი 150,0 ათასი ევრო. 14 850,0 ათასი ევრო დაიხარჯება შემდეგ კომპონენტებზე:

ავტოპარკის განახლება 9 200,0 ათასი ევრო, რაც გულისხმობს 63 ერთეული სხვადასხვა მოცულობის ნაგავმზიდი მანქანის შესყიდვას; 12 ერთეული ნარჩენების გადამტვირთავი მანქანების შესყიდვას და 7 ერთეული მექანიკური დამგველების შესყიდვას. შემდეგი კომპონენტი არის გადამტვირთი სადგურის მშენებლობა და რეაბილიტაცია 1 300,0 ათასი ევრო და წყლის გამწმენდი ნაგებობების რეაბილიტაცია 4 350,0 ათასი ევრო. აღნიშნული კომპონენტი მოიცავს რეცირკულაციის სისტემის მოწყობას, გამორეცხვის სისტემის მოწყობას და ნაჟური წყლის შემკრები აუზისა და გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა- განახლებას.

კომისიის წევრებთანერთად განვიხილეთ: დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა.-პროექტი

დედაქალაქის ტერიტორიული განვითარების უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს არსებული განაშენიანებული ტერიტორიების განვითარება, ინტენსიური მოდელი

ექსტენსიურის ნაცვლად. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროექტის მიხედვით დასახულია ტერიტორიების ბალანსირებული და რეკონსტრუქციაზე ორიენტირებული განვითარება.

ვიზიტები:

- 2019 წლის 23 აგვისტოდან 2019 წლის 27 აგვისტოს ჩათვლით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები სამუშაო ვიზიტით ვიმყოფებოდით ბელარუსიის რესპუბლიკის დედაქალაქ მინსკში. ფესტივალის ,,თბილისობა 2019'' ფარგლებში გამართულ ღონისძიებებზე დასწრებისა და ქ. მინსკის საქალაქო საბჭოსა და აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენლებთან შეხვედრების გამართვის მიზნით. მონაწილეობა მივიღეთ ფესტივალის ,,თბილისობა-2019'' ოფიციალურ გახსნაში; დავათვალიერეთ მუნიციპალური მრავალფუნქციური სერვისცენტრები; კულტურულ-სპორტული და გასართობი კომპლექსი; დავესწარით მასპინძლების მიერ ორგანიზებულ ოფიციალურ ღონისძიებებს. ვიზიტის ფარგლებში, დავათვალიერეთ ქ. მინსკის რამდენიმე ავტოსაწარმო, შევხვდით ჰოლდინგის გენერალურ დირექტორს დიმიტრი პარკოვს, რომელმაც გაგვაცნო საწარმოების მუშაობის სპეციფიკა. უნდა აღინიშნოს, რომ ვიზიტი ნაყოფიერი გამოდგა და ჩვენს ბელარუს კოლეგებთან ერთად, ყურადღება გავამახვილეთ მინსკისა და თბილისის ურთიერთობის სამომავლო ინიციატივებსა და ერთობლივ პროექტებზე.